ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №557

ქ. ბათუმი, 30 ივლისი 2015 წ

ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ტროტუარის) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და მათი ნაწილები, ქუჩები, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირსამაგრი ნაგებობები. ქ. ბათუმში, ე. ნინოშვილის ქუჩა წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის ქუჩას და იგი ექვემდებარება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის) სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხოს:

ა) ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე პარკის მიმდებარედ არსებული 11,00 კვ.მ. ფართობის ტროტუარი (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი);

ბ) ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე (საავადმყოფოს მიმდებარედ) არსებული 10,00 კვ.მ. ფართობის ტროტუარი (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი);

გ) ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქუჩაზე (სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ) არსებული 11,00 კვ.მ. ფართობის ტროტუარი (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი);

დ) ქ. ბათუმში, ინასარიძის ქ. №3ᵃ-ს მოპირდაპირედ არსებული 10,00 კვ.მ. ფართობის ტროტუარი (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი);

ე) ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩაზე (რომპეტროლის მოპირდაპირედ) არსებული 10,00 კვ.მ. ფართობის ტროტუარი (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი);

ვ) ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე (მართლმადიდებელი ეკლესიის მიმდებარედ) არსებული 10,00 კვ.მ. ფართობის ტროტუარი (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი);

ზ) ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე (ელიტ ელექტრონიქსის მიმდებარედ) არსებული 10,00 კვ.მ. ფართობის ტროტუარი (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი).

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ძირითად (განუსხვისებელ) ქონებას.

3. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს (ი. არჩაია) საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხოს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება.

4. ბრძანების შესრულება დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს (ე. ლომაძე).

5. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების აღრიცხვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი №61001010495).

6. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი